საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# აღმასრულებელი დირექტორი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი

N 81 29.12.2025

**„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წლიური სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე**

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის N375 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების მე-4 მუხლის მე-12 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, თანდართული წლიური სამუშაო გეგმა.
2. დაევალოს სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2021 წლის 25 თებერვლის №11 ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფს, უზრუნველყოს ყოველი კვარტლის დასრულებისას აღნიშნული გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადება.
3. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განახორციელებს ამ ბრძანების მეორე პუნქტში ნახსენები სამუშაო ჯგუფის უფროსი - პაატა შავიშვილი.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.
5. ბრძანება გაეცნოს ყველა მასთან დაკავშირებულ პირს.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

გოგიტა თოდრაძე

აღმასრულებელი დირექტორი